ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 68

10 ოქტომბერი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ირაკლი ნადირაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

სხდომას ესწრებოდა:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი-გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭი უყარა დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ" (№11-01192762949-03 03.10.2019).

დღის წესრიგი დამტკიცდა კომისიის წევრების მიერ.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა გაიოზ თალაკვაძემ.
შესათანხმებლად წარმოდგენილია ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნა მისთვის მიკუთვნებულ პროგრამებში ასიგნებების გადანაწილებაზე.

ვარკეთილი 3, მე-3ა მ/რ-ში კორპ.№322-ის მე-7, მე-8 და მე-9 სადარბაზოების გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამაგრება-გაძლიერების მიზნით, სამსახური ითხოვს „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრების" პროგრამის (პროგრამული კოდი: 02 02) ასიგნებებში 500 000 ლარის დამატებას, რაც შესაძლებელია გადმოტანილი იქნას „საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუსაოები, ექსპერტიზა, კონსერვაია და სხვა ღონისძიებები" პროგრამიდან (პროგრამული კოდი:02 03 01).

მომხრე- 8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული

პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამებში ასიგნებების გადანაწილებას, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას დანართის შესაბამისად.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია